<u>პროექტი</u>

განმარტებითი ბარათი

„საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში“ ცვლილების შეტანის შესახებ“ რეგლამენტის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია რეგლამენტის პროექტის შესახებ:

ა.ა) რეგლამენტის პროექტის მიღების მიზეზი:

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტის მიღების მიზეზია „ნდობის ჯგუფის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილების ასახვა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში.

ა.ბ) რეგლამენტის პროექტის მიზანი:

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტის მიღების მიზანია საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისობაში მოყვანა „ნდობის ჯგუფის შესახებ“ საქართველოს კანონთან.

ა.გ) რეგლამენტის პროექტის ძირითადი არსი:

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტის თანახმად, რეგლამენტის 107-ე მუხლს ემატება უ[1] ქვეპუნქტი. აღნიშნული ქვეპუნქტით პარლამენტის თავმჯდომარეს ენიჭება უფლება პარლამენტის ბიუროსთან შეთანხმებით დაამტკიცოს ნდობის ჯგუფის წევრები.

ბ) რეგლამენტის პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) რეგლამენტის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

რეგლამენტის პროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმფიწო ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) რეგლამენტის პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

რეგლამენტის პროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

ბ.გ) რეგლამენტის პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

რეგლამენტის პროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

რეგლამენტის პროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) რეგლამენტის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება რეგლამენტის პროექტის მოქმედება:

რეგლამენტის პროექტის მიღება არ გააუარესებს იმ პირთა ფინანსურ მდგომარეობას, რომელთა მიმართაც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ვ) რეგლამენტის პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

რეგლამენტის პროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღებას.

გ) რეგლამენტის პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) რეგლამენტის პროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

რეგლამენტის პროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) რეგლამენტის პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

რეგლამენტის პროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღიარებულ ვალდებულებებს.

გ.გ) რეგლამენტის პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

რეგლამენტის პროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ და მარავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) რეგლამენტის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) რეგლამენტის პროექტის ავტორი:

რეგლამენტის პროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის წევრი ირაკლი სესიაშვილი

ვ) რეგლამენტის პროექტის ინიციატორი:

რეგლამენტის პროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრი ირაკლი სესიაშვილი